დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა კანდელაკი

წევრები:

რუსუდან კეკელიძე-ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;

ირინე ჯანაშია- სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

თეონა აბრამიშვილი- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ხათუნა ნოზაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მანანა ჯაყელი-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნინო მოლაშხია-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ წულუკიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ნანა ყანჩაშვილი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ლელა მანგოშვილი-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

მარინა ანესაშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200007937

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ურეკის ქ. N5
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ურეკის ქ. N5
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi143@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577335680

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 23 0001012662 18/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	23,24 ოქტომბერი 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ქალაქი თბილისი,ურეკის ქ. N5
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ქალაქი თბილისი,ურეკის ქ. N5
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ქალაქი თბილისი,ურეკის ქ. N5

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლაში ვიზიტი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსიც.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლაში არაფორმალური განათლების მაღალი წილი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების შესაბამისი აქტივობები - საინტერესოს და მიმზიდველს ქმნის სასწავლო პროცესს. სკოლაში არსებული ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია - პროცესები შეჯერებული, გაზიარებული და სკოლის საჭიროებებზეა მორგებული. სკოლაში აშკარად იგრძნობა გუნდური მუშაობის კვალი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1	☒ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 1500	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა- სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;
სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია,წარმოადგინოს სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა/მიწერილობა შესრულების ვადა 2024 წლის 01 მარტი.*
ინდიკატორი N3.5.1.3.	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლაში არსებული სივრცეების ხელმისაწვდომობა სსსმ მოსწავლეთათვის.(სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია)შესრულების ვადა 2024 წლის 10 სექტემბერი. 2.უზუნველყოს შესასვლელი პანდუსის ხელმისაწვდომობა(აყრილია ფილები) შესრულების ვადა 2024 წლის 10 სექტემბერი.*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*1.სკოლას მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი* *2. უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სამედიცინო პერსონალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური*

		დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ ბრძანების რეკომენდაციის შესაბამისად. *3.სასურველია სამედიცინო კაბინეტში დაცული იყოს პაციენტის გასინჯვისას პრივატულობა, სამედიცინო ტახტი ხელოვნური ბარიერის საშუალებით იყოს გამოყოფილი ოთახის სხვა სივრცისგან.* *4.სპორტულ მოედანზე არსებული ტრიბუნები მოიყვანოს სტანდარტებთან შესაბამისობაში.*
ინდიკატორი N.3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობი გათვალისწინებით;*	*სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენება.*
ინდიკატორი N.3.5.1.5.	*სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები*	*სკოლას მიეცა რჩევა, შეიძინოს ამწოვი კარადა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის , უზრუნველყოს ქიმიური ცდებისთვის განკუთვნილი მაგიდისთვის საფარი და კარადებზე დაამაგროს საკეტები.*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო ,საშუალო)	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის,*	*სასურველია სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარებ მეთოდოლოგია სათანადო წესით დაამტკიცოს.*

	შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	
ინდიკატორი N2.1.2.2.	*კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნე (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარ მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);*	*სასურველია, **დაწყებით საფეხურზე** III, IV, V, VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოები სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში შეივსოს I და II კლასის მსგავსად. სასწავლო რესურსები მიეთითოს ყველა თემასთან მიმართებით.*
ინდიკატორი N2.2.2.4.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;*	*სასურველია, **სახელმწიფო ენაში** (სამივე საფეხურზე) შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც, გარდა სტანდარტის შედეგებისა, გამოკვეთილი იქნება კონკრეტულ დავალებაში გააქტიურებული სამიზნე ცნებები.*
ინდიკატორი N2.3.2.3.	*შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;*	*სასურველი იქნებოდა **სპორტში** (სამივე საფეხურზე) შეფასების სისტემის გამრავალფეროვნების მიზნით 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება საგანში იქნას განხორციელებული, რაც კიდევ ერთი საშუალება იქნება და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებათა გამოვლენასა და შეფასებისათვის მონაცემების შეგროვებას.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:
რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" (3.4.1.1.; 3.5.1.3;), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.
ხოლო ინდიკატორი 1.2.1.4. შეფასდა სრულად შესაბამისად, რადგან სკოლამ შესაბამისობის გეგმის დანართად წარმოადგინა მტკიცებულებები.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 **.სკოლის მისიაა** -- აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი , თავისუფალი პიროვნება; უზრუნველყოს ინკლუზიური და თანასწორი განათლების გარემოს შექმნა , უწყვეტი სწავლის შესაძლებლობა ყველასათვის.

სკოლის ხედვაა -- ჩვენი სკოლა 2030 წლისათვის იქნება რეგიონის საუკეთესო სკოლებს შორის, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების და სოციალური განვითარების თვალსაზრისით; წამყვანი და მენტორი მასწავლებლების რაოდენობა გაიზრდება 50% მდე.

ღირებულებებია: თანამშრომლობა,გუნდურობა/კოლაბორაცია,ინოვაციურობა და მშობელთა ჩართულობა.აღნიშნული მისია, ხედვა და ღირებულებები თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლაში შექმნილია უსაფრთხო გარემო სასკოლო საზოგადეობისათვის. ამისათვის სკოლა თანამშრომლობს მანდატურის სამსახურთან, სკოლის მთელ ტერიტორიაზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, ჰყავს დარაჯები და სკოლაში ასევე არსებობს მრჩეველთა საბჭო. მოსწავლეთა შესაძლებებლობების და საჭიროების გამოვლენისთვის მასწავლებლები მიმართავენ დიაგნოსტიკურ ტესტებს. მასწავლებლები სწავლების პროცესში იყენებენ როგორც დიფერენცირებული, ისე განმავითარებელი სწავლების ინსტრუმენტებს.

პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები და წრეები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულმა გუნდმა იმუშავა მისიისა და ხედვის შემუშავებაზე. დირექტორმა შემუშავებული საბოლოო ვერსია წარუდგინა სასკოლო საზოგადოებას. სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბება და განხილვა მოხდა გუნდურად, თანამშრომლობით. სკოლამ იხელმძღვანელა შემდეგი მეთოდოლოგიით: საგნობრივი კათედრების მიერ მოხდა არსებული მისიის და ხედვის გადახედვა. შემდეგ კათედრის ხელმძღვანელების, დირექციის, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და სამეურვეო საბჭოს წევრების ჩართულობით მოხდა საბოლოო ვერსიის შემუშავება. **იდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით. სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის ყველა სართულზე საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე და ატვირთულია ვებ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფიის ნაწილში - დოკუმენტი ასევე საჯაროა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა“.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- **სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **ვებ გვერდი**
- **ბრძანება სტარატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის ჯგუფის შექმნის შესახებ 2-192**

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც პირველ რიგში, ეფუძნება არსებული ვითარების ანალიზს, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ანალიზისთვის სკოლას შერჩეული აქვს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები - SWOT ანალიზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა,რომელიც მოიცავს ხუთ ძირითად მიზანს:

- ✓ სკოლის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება
- ✓ კვალიფიციური კადრი
- ✓ არაფორმალური განათლების განვითარება
- ✓ ინოვაციური და ციფრული მიდგომები
- ✓ ინკლუზიური განათლება

3.სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ამოცანები და აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც მოცემული იყო ვადები, პასუხისმგებელი პირები, თუმცა არ იყო მითითებული შესრულების ინდიკატორები, რითაც დასაბუთდებოდა, რომ აღნიშნული აქტივობა განხორციელდება. ასევე, არ იყო მითითებული რესურსების ჩამონათვალი, რაც საჭიროა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად..**რაც შეეხება, ერთწლიან სამოქმედო გეგმას,სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, დანართად წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ცვლილება და სამეურვეო საბჭოს ოქმი N15,ინდიკატორი ფასდება როგორც სრულად შესაბამისი.**

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია**

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ზოგად დებულებებს, დაგეგმვის მეთოდოლოგიას, ინფორმაციის შეგროვებას/ანალიზს, მისიის ხედვის და მიზნების შემუშავებას/გადახედვა/დახვეწას, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირებას, სამოქმედო გეგმის შემუშავებას, შესრულების მონიტორინგს, SWOT ანალიზს, სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს და დასკვნით დებულებებს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ პროცესის სრულყოფილად წარმართვაზე

პასუხისმგებელია სკოლის დირექცია, რომელიც აკადემიურ პერსონალთან, დასაქმებულებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით აყალიბებს მიზნებისა და ღირებულებების საბოლოო რედაქციას. (სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მუხლი 4. პუნქტი. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგის მექანიზმად განსაზღვრულია დაკვირვება და შეფასება, რომელსაც მეთოდოლოგის თანახმად განახორციელებს სკოლის დირექცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ჯერ განხორციელებული არ არის, ამასთან, შესაბამისი მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროცესებში სასკოლო საზოგადოების და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს ფუნქციებში შედის სტრატეგიული და/ან სამოქმედო გეგმის აქტივობების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. ვიზიტის პერიოდში ჯერ სკოლას არ ჰქონდა განხორციელებული აქტივობები,თუმცა მითითებულია წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში და სკოლას ამის მზაობა აქვს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს, რომლის საფუძველზე დგინდება ერთწლიანი და შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგები, რომელსაც სკოლა გამოიყენებს ახალი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუქნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთულები: დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ოქტომბრის N2-460 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები. აღნიშნული ბრძანებითა და შრომითი ხელშეკრულებებით, მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლაში სტრუქტურული პირების ფუნქციები.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.

კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი და მრჩეველთა საბჭო.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, შინაგანაწესით და ხელშეკრულებით.სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: თანამდებობრივი ინსტრუქციები.სკოლის დირექტორის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორი ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევს კათედრების მუშაობას. ფინანსურ პოლიტიკას უზრუნველყოფს სკოლის ბუღალტერი, რომლის ფუნქციები დარეგულირებულია ხელშეკრულებით დათანამდებობრივი ინსტრუქციებით, მასვე ევალება სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელების მიზნით შეასრულოს შესაბამისი მოქმედებები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **2023 წლის 20 ოქტომბრის N2-460 ბრძანება სსიპ - ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები**
- **თანამდებობრივი ინსტრუქციები**
- **შინაგანაწესი.**
- **თვითმართველობის დებულება.**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესი, რომლის თანახმად ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; სახელფასო სისტემის, როგორც წახალისებით მოტივაციის გაზრდის, რეგულარული დახვეწის გზით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებით; პოზიციების შესაბამისი პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა; იმგვარი გარემოს

შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი, სასწავლო პროცესის რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და სასკოლო სივრცეში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებულის პასუხისმგებლობები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რის დასტურათაც წარმოდგენილი აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს და სტრატეგიას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარებას, ადამიანური რესურსების მართვას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. დოკუმენტში აღწერილია პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნები და საშუალებები, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის დირექტორის დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისისN143 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად. რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესი.დოკუმენტის „ადამიანური რესურსების მართვა“ მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

სკოლა სრულად იცავს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის ინფორმაციით გამოცხადებული ვაკანსიის დროს პრიორიტეტი ენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისთვის.სკოლას დამტკიცებული აქვს დირექტორის ბრძანებით სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი.სკოლას გამოცხადებული ჰქონდა რამდენიმე კონკურს, მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად, მათ შორის მათემატიკის, სპორტის და სხვა.რაც დასტურდება http://teacherjobs.ge/ -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტაციით. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს ასევე კონკურსის

ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შესახებ ბრძანება, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების ვადების შესახებ ბრძანება და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას.

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში არის წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები და ნასამართლეობის შესახებ ცნობები და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები ასევე სერტიფიკატები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს.მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან პერსონალის კვალიფიკაცია.

სკოლას პერსონალის ფუნქცია- მოვალეობებთან ერთად გაწერილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა)

მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება**
- **შინაგანაწესი**
- **სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლაში მათემატიკის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმი**
- **ინტერვიუ ადმინისტრაციასთან**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება / შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ჯგუფის წევრები ეხმარებიან კოლეგებს პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, პროფესიული განვითარების აქტივობების შემუშვებასა და განხორციელებაში.სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-11 მუხლია მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება.მე-9 მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ,სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაშიდანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მიზანია: ა) სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის

ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; გ) მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; დ) მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მე-10 მუხლია თანამშრომელთა პროფესიული განვითარება.აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ეტაპებს; ა) პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე; ბ) გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა; გ) შესაბამისი კანდიდატების შერჩევა;დ) მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა".დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები.სკოლაში ტარდება სასწავლო ჯგუფის შეხვედრები, რომლებიც იგეგმება საჭიროებიდან გამომდინარე, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება,კრიტიკული მეგობარის კონსტრუქციული უკუკავშირი და ა. შ. ერთობლივად ირჩევა საჭირო ტრენინგ კურსები, რომელსაც გადიან მასწავლებლები სტატუსის შესაბამისად. დირექცია თვალს ადევნებს როგორ ნერგავს მასწავლებელი ტრენინგებსა თუ სემინარებზე მიღებულ ცოდნას საკლასო ოთახში. სკოლის ბაზაზე მასწავლებლები აქტიურად უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ სკოლაში შექმნას გახსნილი თანამშრომლობაზე აგებული გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია.ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების ერთ -ერთი მიზანია სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება,რაც დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შექმნილი აქვს სკოლის დებულება სასკოლო რესურსებით სარგებლობის შესახებ,(ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი,რაც აძლევს

სკოლას საშუალებას, აქტიურად მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. სკოლაში მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები ხორციელდება, რომლის ინიციატორები ხშირად სწორედ მასწავლებლები არიან. ასეთი აქტივობები არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც განვითარების საშუალებაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება**
- **ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი**

- **კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;**
- **შინაგანაწესი;**
- **დამრიგებლის პორტფოლიო;**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში და ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესი, კურიკულუმის შემუშავება, მეთოდოლოგიურად აღწერილია კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას შექმნილი აქვს გასაჩივრების წესი.დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს:ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა (მშობელი, სკოლა) უფლება მოვალეობები.

სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი**
- **გასჩივრების წესი**
- **შინაგანაწესი**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**
- **სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია**
- **მშობლებთან ურთიერთობის დებულება**
- **მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება**

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი.
მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ.
საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლა ამავე მიზნით იყენებს სოციალურ ქსელს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ.

მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად რესურსცენტრის მიერ განსაზღვული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. სკოლაშ ფუნქციონირებს ასევე დისციპლინური კომიტეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მშობლებთან ურთიერთობის დებულება**
- **თვითმმართველობის დებულება**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები**
- **პედსაბჭოს ოქმები**
- **დისციპლინური კომიტეტი ოქმი**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირები, მანდატურები.მოსწავლეები მუდმივად არიან მეთვალყურეების ქვეშ, როგორც სკოლის შენობაში, ასევე ეზოში. შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. (17 შიდა და 2 გარე კამერა)სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს 4 დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ვიზუალური დათვალიერებით,შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი.
სკოლას აქვს საგანგებო მართვის გეგმა, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული,რომელიც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან არის შეთანხმებული.

სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას ჰყავს ექიმი, შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. ექიმი აწარმოებს სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტების ჟურნალს.სკოლას ჰყავს 1321 მოსწავლე, მიეცა რჩევა უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის სამედიცინო პერსონალი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/ ბრძანების რეკომენდაციის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ სკოლამ მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს,მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრის და მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომრებს და ასევე აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზეც.სკოლას დირექტორის ბრძანებით N2-37 დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, ასევე სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი „უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა“,რომელშიც გაწერილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მიზნები,რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში,ინფორმირებულობის უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ვალდებულებები. სკოლას დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით N2-426 შექმნილი აქვს დოკუმენტი “სამედიცინო დახმარებისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი“.

სკოლამ წარმოადგინა სკოლის შენობა-ნაგებობის სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის აქტი, რომელში გაწერილი რეკომენდაციებიც არ აქვს ამ ეტაპზე შესრულებული.სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაცემული მიერ შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა,რომელშიც მითითებულია, რომ მიუხედავად გამოვლენილი ხარვეზებისა და სეისმომედეგი მოთხოვნების ნორმებთან შეუსაბამობისა, ექსპლუატაციის თვალსაზრისით შეიძლება შეფასდეს,როგორც დამაკმაყოფილებელი.**რაც შეეხება სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა/მიწერილობას, შესაბამისობის გეგმის დანართად სკოლამ წარმოადგინა მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 3/11 და შესრულების ვადა მიუთითა 2024 წლის 01 მარტი.**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები, მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლაში რეგულარულად იმართება ბულინგის მიმართ პრევენციული ღონისძიებები, რომელთა ორგანიზებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს ოქმით დასტურდება, რომ სკოლამ ჩაატარა შემდეგი დასახელების საინფორმაციო კამპანიები:მშობლის როლი ბავშვის აღზრდაში,შვილთან ეფექტური კომუნიკაცია,ძალადობა, მათ შორის ნაადრევი ქორწინება და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე, ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე,ბულინგი, კიბერბულინგი და მისი გავლენა და ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესი.

დამრიგებლების და დირექციის მხრიდან მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობა ინტენსიური და თანამშრომლობითია.

ხშირად ტარდება აქტივობები ბულინგის თემაზე.(პროექტები ატვირთულია სკოლის სოციალურ ქსელში). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფენ დამლაგებელები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას.სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით.სკოლას დირექტორის 2023 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით N2-426 შექმნილი აქვს დოკუმენტი "სამედიცინო დახმარებისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი".**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის

ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. (საქმისმწარმოებელი).სკოლის სოციალურ გვერდზე ხშირად იდება მოსწავლეების ფოტოები, თუმცა ამის შესახებ მშობლებისგან სკოლას თანხმობა მიღებული აქვს. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა, იქნება ეს მატერიალური თუ ელექტრონული სახით, ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.პერსონალურ მონაცემთა დაცვა განპირობებულია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: Teams -ის პლატფორმა , სადაც სრულად დაცულია მოსწავლის პერსონალური მონაცემები ელექტრონულ პროგრამაში (Teams) მუშავდება მოსწავლის შემდეგი მონაცემები: სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფოტოსურათი (სურვილის შემთხვევაში), პაროლი, მოსწავლის გაკვეთილზე დასწრების შესახებ ინფორმაცია, საგაკვეთილო ცხრილი, შესრულებული დავალება, მასწავლებლის მიერ გაგზავნილი დავალების უკუკავშირი, ვიზუალური გამოსახულება და ხმა.ელექტრონული ჟურნალი, სადაც ასევე გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა.

ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს.

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან,რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის განხორციელებისას. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთან და ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების

დაცვით.ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას. პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს, დირექტორის მოადგილეებს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით . მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **„უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი“**
- **„პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“**
- **ბრძანება N2-426 შექმნილი აქვს დოკუმენტი "სამედიცინო დახმარებისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი".**
- **ექიმის ხელშეკრულება**
- **საგანგებო მართვის გეგმა**
- **სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაცემული მიერ შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების შესახებ დასკვნა**
- **დარაჯის ხელშეკრულება**
- **მრჩეველთა საბჭოს ოქმები**

- **ვიზუალური დათვალიერება**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, ურეკის ქ. N5 -ში განთავსებულ შენობაში. დაზუსტებული ფართობია 10315.00 სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა ოთხსართულიანია. სასწავლო პროცესი ორ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **1321 მოსწავლე.** საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია.

სკოლაში არის 2 შიდა სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ორი რესურსოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია,სამასწავლებლო, მანდატურებისთვის განკუთვნილი ოთახი, და სხვა ძირითადი და დამხმარე სივრცეები. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, სკოლას აქვს ლაბორატორისთვის გამოყოფილი ფართი, რომლის გვერდზეც არის მცირე ზომის სათავსო ხელსაბანით და კარადებით აღჭურვილი, სადაც ინახება ლაბორატორიული ხელსაწყოები და რეაქტივები.სკოლას აქვს ხელსაწყოების და რეაქტივების, მოდელების და პლაკატების, სქემების, ცხრილების ჩამონათვალი, არ აქვს ამწოვი კარადა.საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიას და სხვადასხვა პლატფორმას, ასევე მათ ხელთ არსებულ ლაბორატორიულ ინვენტარს, რომელიც გააქვთ საკლასო ოთახებში. სკოლის ინფორმაციით, ფართის არ ქონის გამო,ლაბორტორია დროებით საკლასო ოთახებად გადააკეთეს.სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ორ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, რომელშიც სამკითხველოც არის მოწყობილი, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით. სკოლის სააქტო დარბაზიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის, აქ მათი მონაწილეობით ხშირად იმართება სხვადასხვა შინაარსის აქტივობები. შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლის შესასვლელში არსებული პანდუსი არ არის უსაფრთხო, დაგებული ფილები აყრილია. სკოლას აქვს მეორე და მესამე სართულზე ასასვლელი ეგრეთ წოდებული რელსები ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, რომელიც სრულად არ შეესაბამება სტანდარტს, თუმცა გონივრული მისადაგების პრინციპით შეიძლება ჩაითვალოს.მიუხედავად ამისა,სკოლაში მაინც არ არის არსებული სივრცეები სსსმ პირთათვის ხელმისაწვდომი.(საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სპორტული დარბაზი).სკოლას აქვს ორი რესურსოთახი, რომლებშიც არის საკმარისი სასწავლო რესურსები მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ხელმისაწვდომი. **რაც შეეხება,სკოლაში არსებული სივრცეების ხელმისაწვდომობას,სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები (შესრულების ვადა 2024 წლის 10 სექტემბრამდე)- ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

4. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს ბიბლიოთეკას, სკოლის სპორტულ დარბაზს, სააქტო დარბაზს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას და ამავდროულად, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს. სკოლას აქვს პროექტორები,რომლებსაც პედაგოგები ინტენსიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. მასწავლებლები იყენებენ პროექტორებს.სკოლას აქვს ლაბორატორისთვის გამოყოფილი ფართი, რომლის გვერდზეც არის მცირე ზომის სათავსო ხელსაბანით და კარადებით აღჭურვილი, სადაც ინახება ლაბორატორიული ხელსაწყოები

და რეაქტივები.სკოლას აქვს ხელსაწყოების და რეაქტივების, მოდელების და პლაკატების, სქემების, ცხრილების ჩამონათვალი, არ აქვს ამწოვი კარადა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის მასწავლებლები იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიას და სხვადასხვა პლატფორმას, ასევე მათ ხელთ არსებულ ლაბორატორიულ ინვენტარს, სკოლას მიეცა რჩევა გამართოს ამწოვი კარადა და კარადებზე დაამაგროს საკეტები და მაგიდაზე დაამაგროს საფარი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ბიბლიოთეკის დებულება**
- **ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი**
- **ამონაწერი საჯარო რეესტრიდან**
- **ვიზუალური დათვალიერება**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს,რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა. ყველა მასწავლებელს აქვს პერსონალური პერსონალური კომპიუტერი,კომპიუტერულ ლაბორატორიაში 29 კომპიუტერია და ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია პროექტორებით. ლაბორატორიის სრულად აღჭურვისა და კომპიუტერების რაოდენობის განახლების შესახებ. ბიბლიოთეკა და რესურსოთახიც აღჭურვილია კოპიუტერებით და პრინტერებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას. სკოლის სპორტული დარბაზი აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, რაგბის ინვენტარით, სხვადასხვა ბურთებით და სხვა საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი**
- **ვიზუალური დათვალიერება**

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი და ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების დებულება. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც. დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში დოკუმენტაციისა და დოკუმენტბრუნვის სრულყოფას. სისტემატურად ხდება დოკუმენტაციის აღრიცხვა. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც მუდმივად აწარმოებს დოკუმენტაციის აღრიცხვას, მოწესრიგებას, კოორდინირებას უწევს საქმისწარმოების ერთიანისისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვას, ინფორმაციის გაცემას, და დოკუმენტების შემოსული განცხადებაიქნება თუ წერილი რეგისტრირდება იმავე დღესვე. შემოსულ განცხადებაზე რეაგირება ხდება საჭიროებისამებრ ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ ვადებში, ცნობები გაიცემა ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. შემოსული და გასული დოკუმენტაცია ინახება ელექტრონულად, ზოგი-მატერიალურად. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები ტარდება სპეციალურად განსაზღვრულ მატერიალურ ჟურნალში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა

შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს.სკოლას მიეცა რჩევა ბრძანებაში მიუთითოს ბრძანების გამომცემი პირი.სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა:tbilisi143@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(E-school). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები. სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია და ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. სამეურვეო საბჭოს ოქმით დასტურდება სკოლის დირექტორის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენის ფაქტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი**
- **სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.**
- **საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება**
- **სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია.https://skolebi.emis.ge/

2.სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც

მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე, ვებ გვერდზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირით გამოვლენილ დადებითსა და უარყოფით მხარეებს და ზრუნავს მის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოება იკვლევს არსებულ მდგომარეობას და მუშაობს დამატებითი მექანიზმების შემუშავებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. ვებ გვერდი განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.ვებ გვერდის მისამართია https://skolebi.emis.ge/school, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვებ გვერდის მისამართი https://skolebi.emis.ge/school

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად.სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ N476 დადგენილების მიხედვით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომლის მოცულობა განისაზღვრება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობით. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლის ექიმის ხელფასის პროგრამულ დაფინანსებას, აგრეთვე მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის შესაბამისად დანამატების და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ დაფინანსებას, რომელიც, თავის მხრივ, სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეების რაოდენობით განისაზღვრება. ზემოთ ხსენებული ფინანსური შემოსავლების გარდა, სკოლას აქვს სხვა შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით. ფართი.იჯარით აქვს გაცემული **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. ასევე, სკოლას აქვს სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება ხარჯვის განხორციელება, ყოველივე აღნიშნული არის სრულად გამჭირვალე. ყოველწლიურად სკოლა ახორციელებს დაფინანსების დინამიკის შესწავლას, რისი ანალიზის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი წლის ბიუჯეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ბრძანება 2-411 „სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლაში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“**
- **ფაქტობრივი ბიუჯეტი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სასწავლო გეგმაში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი , ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი;

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. ცალკე თავია მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში.

მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; მოსწავლის ქცევის კოდექსს; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას; სკოლაში არსებულ მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“,რომელშიც გაწერილია მოსწავლის უფლებები და მოვალეობები.ასევე სადამრიგებლო პროგრამის თანახმად,

დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, სხვა პირობებს და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შინაგანაწესი**
- **მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება**
- **2023/24 წლის სასწავლო გეგმა**
- **„მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“**

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შექმნილი აქვს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი.წესი შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ, 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ და 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ-ის ბრძანებების საფუძველზე. წესი მოიცავს:
სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა პროცედურებს და ეტაპებს; სკოლაში (გარდა პირველი კლასისა) მოსწავლეთა ჩარიცხვა-მოსწავლის მობილობას; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურებს;.მოსწავლის სტატუსის შეჩერებას;მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენას ,უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა სთავაზობს მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად.ამ მიზნით მშობლები მიმართავენ დირექტორს განცხადებით. როგორც მეორე უცხო ენის, ისე არჩევითი საგნების არჩევის დროს დგება ოქმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი**
- **მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება**
- **შინაგანაწესი**
- **E-school-ის ბაზა;**
- **მშობელთა განცხადებები**
- **სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვის , ამორიცხვის შესახებ ბრძანებები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმის ცალკე თავია ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები.რომლის მიხედვითაც კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს, ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას.

ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის; დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ, დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ორი რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებთან ტარდება ინდივიდუალური გაკვეთილები და ასევე გამოიყენება მათი განტვირთვის და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალური აქტივობებს და მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები: STEM -კლუბი,კლუბის მიზანია stem-ის საგნებისადმი ინტერესის გაზრდა და ინჟინერიასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების გზით, ამ საგნების ცოდნის საჭიროების ჩვენება.

ყოველი წლის ოქტომბერში დაწყებითი კლასების მონაწილეობით ტარდება ხილის ფესტივალი, სადაც აქტიურად არიან ჩართული მშობლები, ადგილობრივი თემი. ასევე მოსწავლეებისა და მშობლების აქტიური მონაწილეობით სკოლის კედლები მოიხატა ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში. თემის შერჩევა მოხდა ადმინისტრაციისა და დამრიგებლების შეთანხმების საფუძველზე. ფინანსური მხარდაჭერა მიიღეს სკოლის ბიუჯეტიდან და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,World vision"-ისგან, სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ხელოვნური ინტელექტის კლუბი,რომლის მიზანია რობოტიკის და პროგრამირების საწყისების გაცნობა მოსწავლეებისათვის.მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ილიას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონკურსში და წარადგინეს თავიანთი დაპროგრამებული მანქანა/რობოტი. პროექტის ფარგლებში სკოლაში მოეწყო ეთნოსახლის მაკეტებისა და ნახატების გამოფენა.შეირჩა საუკეთესო მაკეტი.სამომავლოდ სკოლა გეგმავს ასეთი სახლის სკოლის ეზოში აშენებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. აქტივობები, რომლებიც სკოლაში იმართება, ძირითადად მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან აზრთა გაზიარებისა და შეთანხმების შედეგად ხორციელდება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **„მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი"**
- **STEM -კლუბის წესდება**
- **ხელოვნური ინტელექტის კლუბის წესდება**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**
- **შინაგანაწესი**
- **განხორციელებული პროექტები**
- **თვითმმართველობის დებულება**
- **დამრიგებლის მუშაობის დებულება**
- **სოციალური ქსელი**

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ ”გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრთან“, რომლის ფარგლებში მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ ჭრა-კერვის პროგრამაში, ემუშავათ სხვადასხვა სახის ქსოვილებზე, შეექმნათ ტანსაცმლის დიზაინი და მოდელები.გარდა ამისა, სკოლა ამ კუთხით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, რადგან ამ მიმართულებას სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. კერძოდ, დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს მათი მომავალი კარიერული განვითარებისა და დაგეგმვის პერსპექტივაზე, სხვადასხვა პროფესიის მნიშვნელობაზე და მათ შერჩევაზე. მასწავლებელთა ორგანიზებით სკოლა იწვევს სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ადამიანებს და ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები. სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების მოწვევას და მოსწავლეებისათვის შეხვედრების დაგეგმვას. სკოლა ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების ღია კარის დღეებთან დაკავშირებით.

2.ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ

სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების დახმარებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით (გამოკითხვა, ინტერვიუ, ჯგუფური დისკუსია და ა.შ.) მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **მემორანდუმი კოლეჯთან "გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრი",**
- **განხორციელებული პროექტები**
- **სოციალური გვერდი**

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. სკოლას ჰყავს 3 სპეციალური მასწავლებელი.ყველა მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახების მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით , სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**
- **დირექტორის ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნაზე**
- **ისგ ჯგუფის ოქმი**

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას საიჯარო ხელშეკრულებით გაცემული აქვს ფართი სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისთვის და ასევე გაცემული აქვს რამდენიმე ფართი საიჯარო ხელშეკრულებით. სკოლის მიერ განხორციელებული დამატებითი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს. კვების ობიექტში განთავსებულია აკრძალული და ნებადართული პროდუქტების ნუსხა, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კვების სერვისი ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **იჯარის ხელშეკრულება**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დანართი №2

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხური

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც დაწვრილებით აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში **ასახვა. აქვე უნდა ითქვას, რომ სკოლას კურიკულუმის სემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია სათანადო წესით დამტკიცებული არ აქვს.**

   კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება; სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლის ინეტერსებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის; სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფის / სოციო-ემოციური სწავლის გზით).

   კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ **დაწყებით საფეხურზე** ტრადიციულად მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან, გარდა გამოკითხვებისა, ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სამივე საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ წლის განმავლობაში განხორციელებულ კომპლექსური ბუნების დავალებებს და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ძირითადად ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, მაგალითად, **დაწყებით საფეხურზე** გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს კურიკულუმის განვითარებაში სასკოლო ადმინისტრაციის განსაკუთრებული როლი, რაც გამოიხატება როგორც ადმინისტრირებაში, ასევე შინაარსობრივ მხარდაჭერასა და პროცესების მიზნობრივ მართვაში. საკმაოდ მჭიდროა კავშირი ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. უკუკავშირის მიღება, იდეების გაზიარება და ხელმისაწვდომობა უმთავრესად ხორციელდება პირისპირ და უშუალო კონტაქტების გზით, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

   კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ.

   თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში, ასევე კათედრის სხდომების ოქმებში. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

4. კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ხოლო გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა.**
- **კათედრის სხდომის ოქმები**

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ- ქალაქ თბილისის 143-ე საჯაროსკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში (ახალი სკოლის მოდელი). შესაბამისად, სკოლას აქვს გამოცდილება სასკოლო კურიკულუმზე მუშაობისა. შემუშავებული საგნის კურიკულუმის/ები ორიენტირებულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები

განისაზღვრება საფეხურის დონეზე; მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. მაგალითად, **უცხოურ ენებში,** დაწყებითი საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად; ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე; უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ახალ საგნობრივ კურიკელუმებში ასახულია შემდეგი ველები: სავალდებულო თემები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნება და ქვეცნებები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები გააზრებული გვაქვს გრძელვადინ მიზნებად. კომპლექსური დავალებებზე მუშაობა არსებითი ხელისშემწყობი ფაქტორია გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას .დაწყებით საფეხურზე, **უცხოურ ენებში,** კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების

ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. მაგალითად, როლური თამაში „სამხარი სკოლის კაფეტერიაში“, პრეზენტაცია „სხეულის ნაწილები“ (ინგლ., I კლ.), წარწერებიანი პოსტერის შექმნა ფერებზე, ილუსტრირებული წიგნი „ზოოპარკი“ (ინგლ., II კლ.), კომიქსი საყვარელი ანიმაციური სუპერგმირის ერთი დღის შესახებ, პოსტერი „ჩემი საყვარელი სეზონი“ (ინგლ., III კლ.), დიორამა „ჩემი საყვარელი ცხოველები“, ღია ბარათი მეგობარს (ინგლ., IV კლ.), პოსტერი „ჩემი მეგობრის პროფილი“, როლური თამაში „სატელევიზიო შოუ სასკოლო ცხოვრებაზე“, თხზულება ჩემი და უცხო ქვეყნის ქალაქებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე (ინგლ., V კლ.), პრეზენტაცია მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე - ცხოვრება უცხოეთსა და საქართველოში, პრეზენტაცია „ჩემი ოცნების სახლი“, პრეზენტაცია „პოპულარული პროფესიები საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში (ინგლ., VI კლ.); პოსტერი „ჩემი სასკოლო ნივთები“, საკუთარი ოჯახის გენეალოგიური ხის შექმნა (რუსული, გერმანული, ფრანგული V კლ.), პრეზენტაციები: „ჩემი მეგობარი“, „ჩემი ოჯახი“, საკუთარი დღის განრიგის შექმნა (რუსული, VI კლ.), საკუთარი საცხოვრებელი გარემოს აღწერა (ფრანგული, VI კლ.) და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კათედრებზე წევრებს ურთიერთანამშრომლობით შემუშავებული აქვს საგნების მიხედვით კურიკულუმის ჩარჩოს პროექტი და სასწავლო წლის დასრულებამდე გააცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** მე-2 სემესტრისა და წლიური შედეგების დამუშავების, მასწავლებელთა ანგარიშების გაცნობის, მოსწავლეთა და მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები; ბოლოს, დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები აისახება კურიკულუმში და საგნობრივი სასწავლო გეგმა მიიღებს სრულყოფილ სახეს. ამ ეტაპზე ისგ გეგმით სარგებლობს 25 მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში. სასწავლო **პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს,** თუმცა წარმოდგენილია ყველა საგნის ინდგეგმის ნიმუშები ადაპტირებული პროგრამებით, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, სსსმ მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები, ასევე რეკომენდაციები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომლითაც

გათვალისწინებულია სასკოლო გარემოსთან სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობა. წარმოდგენილია მოსწავლის ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებზე, ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება. სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). სკოლას დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი აქვს მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და ცალკეული აქტივობების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს; რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და ა.შ. კათედრის წევრები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები, შემუშავებულია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა;**
- **დანართი 51;**
- **მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი;**
- **კათედრის სხდომების ოქმები;**
- **ინტერვიუ**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას , ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში . წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსაწავლეებს საშუალებას აძლევს, შეიძინონ ახალი ცოდნა. საბოლოო პროდუქტის შექმნა კი შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს , რაც ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და მათ მოტივაციას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა პროექტები, ვიქტორინები. მაგალითად, მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე შეასრულეს კომპლექსური დავალება „რობოტი რობი მათემატიკის ჯადოსნური სამყაროდან“ მოასწავლეებმა განალაგეს ნახატზე მოცემული საგნები ცხრილში მოცემული მონაცემებისა და მინიშნებების მიხედვით. ასევე მოსწავლეებმა გაკვეთილზე კომპლექსური დავალების შესრულებისას არჩევანის მიხედვით დაამზადეს გეომეტრიული ფიგურები სხვადასხვა მასალისაგან, გამოიყენეს პლასტელინი, ჩხირები, მავთული, რამდენიმე მოსწავლემ ფიგურების ნახატები წარმოადგინა. სხვადასხვა მასალის ან ფორმის გამოყენების არჩევანი მოსწავლეებს უადვილებთ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შექმნა. სასწავლო პროცესში აქტიური

ჩართულობისთვის სკოლაში ჩატარდა მათემატიკის კვირეული , რომელშიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2 . გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალების პირობები ყოველთვის გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მარტივიდან რთულისკენ სვლას, პრაქტიკული მაგალითებით ცოდნის გამყარებას და ა.შ. ყოველი გაკვეთილი იწყება გასული დავალების, გაკვეთილის გახსენებით, გამოწვევის ფაზაში მასწავლებლის მიერ ხდება ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეების მოტივირება და მხოლოდ შემდეგ ახალი მასალის მიწოდება, რაც სწავლის პროცესს ხდის ეფექტურს და საინტერესოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. მასწავლებლები გაკვეთილის პროცესში ხშირად იყენებენ ე.წ. გასასვლელ ბარათებს, თვითშეფასებას მათ აქვთ საშუალება თავადვე გაასწორონ საკუთარი ნამუშევრები, აწარმოონ თვითშეფასების დღიურები და ა. შ. ყველა ეს მეთოდი სტრატეგია, აქტივობა მოსწავლეებს აძლევს ცოდნას თუ როგორ ისწავლონ დამოუკიდებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები , რომელთა განხორციელებაც მოითხოს საგნობრივი საკითხის დამუშავებას , სწავლის სტრატეგიების ფლობას, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მაგალითად, კომპლექსური დავალება მათემატიკაში, მაღაზიობანა და მონაცემთა ანალიზი. დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ

მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად, მოსწავლეები ამზადებენ ბარათებს .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. .დაწყებითი კლასების პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლებ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად, მათემატიკაში , კომპლექსური დავალება ,,ყვავილების ორანჟერეა'' აღნიშნულ დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;**
- **კომპლექსური დავალება სსსმ მოსწავლისთის;**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები და მითითებული აქვთ ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლებსაც ააქტიურებენ ამ კონკრეტული დავალებებით. კურიკულუმების დანართის სახით წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც სრული სახითაა გაწერილი კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და მოსალოდნელი შედეგები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თვალნათლივ აჩვენებს, დასახული ამოცანების გადაჭრას - პროდუქტის შექმნას და შემდგომ პროდუქტსა და პროცესზე მსჯელობას - გასიტყვებას - როგორ მიჰყავს მოსწავლეები სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას ითხოვს (მოთხრობის სიუჟეტის გაგრძელება, კომიქსის შექმნა იგავის მიხედვით, წერილი პერსონაჟს, მოთხრობაში გადმოცემული ამბის მოყოლა სხვა პერსონაჟის მიერ და ა.შ.), რაც მოსწავლეებისთვის გამოწვევაა და გარკვეულ ძალისხმევას ითხოვს. შედეგი ძალისხმევის გარეშე არ მიიღწევა, რაც მათ მიღწევის ღირებულებებს (თვითრეგულაციის, მიზანდასახულობის, მედეგობის უნარებს) უვითარებს. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნისას მოსწავლეებს შემოქმედებითობა სჭირდებათ. ასევე, უწევთ კრიტიკულად იაზროვნონ _ ფაქტები გააანალიზონ, იდეების გენერირება და ორგანიზება შეძლონ, მოსაზრებები დაიცვან, შეადარონ, დასკვნები გამოიტანონ, არგუმენტები შეაფასონ და პრობლემები გადაჭრან. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხშირად გუნდურ მუშაობასაც მოითხოვს, რაც მათ თანამშრომლობის უნარებს უვითარებს. შექმნილ პროდუქტსა და შექმნის პროცესზე რეფლექსია კი მოსწავლეებს თვითცნობიერების განვითარებაში ეხმარება _ მათ ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სწავლის ხელშეწყობის, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ფუნქცია აქვს. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში _ შეფასების კრიტერიუმებს განიხილავენ, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. შეფასების კრიტერიუმების განხილვა მათ ეხმარებათ, უკეთ გაიაზრონ დავალების პირობა, ასევე - მიმართება მიზნებსა და შედეგებს შორის. თვითშეფასება მოსწავლეს აკვალიანებს, როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი, როგორ გადადგას გააზრებული ნაბიჯები წინსვლისთვის. წარმოდგენილი აქვთ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებს, დასახული ამოცანების გადაჭრას - პროდუქტის შექმნას და შემდგომ პროდუქტსა და პროცესზე მსჯელობას - გასიტყვებას - როგორ მიჰყავს მოსწავლეები მისაღწევ შედეგებამდე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.წარმოდგენილი აქვთ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ რუბრიკებში თვალნათლივაა ნაჩვენები, რომელ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს მიემართება შეფასება (ვალიდურობა). წარმოდგენილი აქვთ

ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის, პროექტის და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გამოკვეთილია, რომელ შედეგებს მიემართება შეფასება. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კრიტერიუმების განხილვის პროცესში. თავიდანვე იციან, რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი პასუხი, პროდუქტი, ნაშრომი (გამჭვირვალობა, ობიექტურობა, სამართლიანობა). თუ შეფასების სქემაში რომელიმე კრიტერიუმის აღმწერი ორაზროვანია _ არ არის ცხადი, ნათელი, მკაფიო, კათედრა ერთად განიხილავს და მუშაობს მის გამართვა-დახვეწაზე (სანდოობა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში (გვ.24 -26) წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, განმახორციელებელი პირები). როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის სხდომებზე განიხილება, რამდენად შეესაბამება შეფასების სისტემა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. მუდმივად ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და მსჯელობა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. სკოლა გეგმავს ნიმუშის მიხედვით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, ასევე შექმნილის გამართვა-დახვეწას. გეგმავენ, მოსწავლეებისთვის უფრო გასაგებად, ნათლად, მკაფიოდ, დახვეწილი ფორმით ჩამოაყალიბონ შეფასების კრიტერიუმების ზოგიერთი პირობა, რომ ორაზროვნება გამოირიცხოს და სანდო შეფასების რუბრიკები შექმნან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც ასახულია მოსწავლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. განმავითარებელი კომენტარი იწერება დაწყებითი კლასების მასწავლებლების მიერ შესაბამის საგანში. მასწავლებლების უმრავლესობა აწარმოებს პირად ჟურნალს, რომელშიც ინიშნავენ მოსწავლეთა დასწრებასა და შეფასებას, რომ ეს მონაცემები გამოიყენონ მოსწავლეთა შედეგების ანალიზის დროს. ასევე ინახავენ მოსწავლეთა შემაჯამებელ სამუშაოებს მათი შემდგომი ანალიზისთვის. ცალკე ინახება კურიკულუმები, სასკოლო პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია და სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, როგორც მტკიცებულება და მასალა, რომლის შესწავლის საფუძველზეც ცვლილებები შეაქვთ სასწავლო პროცესში. ჟურნალი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, სკოლაში ინახება მესამე პირისგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ინტერვიუ;**
- **სასკოლო გეგმა;**
- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;**
- **განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;**
- **თვითშეფასების ფორმა**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებულია საგნობრივი პროგრამები და მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ/აკადემიური მიღწევების განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა ,ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის , მშობელთა კრებებზე , კათედრის სხდომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე, რომლის გათვალისწინება ხდება კურიკულუმის შემუშავების დროს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, სადამრიგებლო საათები, სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციურ-

კომპონენტური უნარების განვითარებაზე.ზემოაღნიშულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შერჩეული თემებით და კომპლექსური დავალებებით ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა, მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკითხზე და მათთან თანამშრომლობა. სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე იგეგმება შეხვედრა კურიკულუმის განსახილვევლად. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს განხორციელებული კომპლექსური დავალების გამოცდილებას, საკუთარ პრაქტიკას, თუ რომელმა კომპლექსურმა გამოიწვია მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი და ითვალისწინებენ იმავე ან მსგავს დავალებას მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტი და ღონისძიება. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასების დონეზე. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო

ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ტარდება სადმრიგებლო საათები, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სახალისო აქტივობები, კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას და პოზიტიური გარემოს შექმნას. ამის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **საგნობრივი კურიკულუმები,**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ სკოლაში მიმდიმანეობს კურიკულუმის მონიტორინგი. არსებობს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია **(მეთოდოლოგია არა არის დამტკიცებული სათანადო წესით),** რომელშიც აღწერილია, თუ როგორ იმდინარეობს ეს პროცესი სკოლაში. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, შემდეგ განიხილავენ კათედრებზე აღნიშულ გაკვეთილებს და ცდილობენ გამოკვეთონ ძლიერი და სუსტი მხარეები. სისტემატიურად აკვირდებიან კომპლექსურ დავალებებს და ზრუნავენ მის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. საუბრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. კათედრის წევრებისა და დირექციას შორის არის ინტენსიური თანამშრომლობა. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის აღნიშნული აქტივობები შედეგიანად მიმდინარეობს. ამას მოწმობს კურიკულუმის ჩარჩოები; დოკუმენტი N12; ოქმები; შემაჯამებელი ფორმა; შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა პროექტი, რომლებიც მოიცავს დაწყებით საფეხურზე განსახორციელებელ და უკვე განხორციელებლი აქტივობების მონიტორინგს და შეფასებას კათედრებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი გარემო, რომელიც ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ როგორ ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით იკვლევენ მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს. მასწავლებლები ორიენტირებულები არიან კათედრის შიგნით პრაქტიკის გაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. ამას მოწმობს წარმოდგენილი დოკუმენტები: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ოქმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, მშობელის ბარათი, შემაჯამებელი ფორმა და სხვა. კათედრების წევრებსა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით. სამომავლოდ კი იგეგმება ყველა საგნობრივ კათედრაზე დიაგნოსტიკური ტესტირებების ჩატარება, რომელიც უკეთ წარმოაჩენს იმ ხარვეზებს, რაც ხელს უშლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასებისათვის, სკოლამ საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული პირველი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. კათედრებმა შეარჩიეს კომპლექსური დავალებები და შეიმუშავეს შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე;**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **დოკუმენტი N12;**
- **შემაჯამებელი ფორმა.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა დაწყებით საფეხურზე შეფასებისას იყენებს კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილ განმავითრებელ შეფასებას, თითოეული საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც დაკავშირებული სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისკენ. სკოლის

თვითშეფასების ფორმიდან, ატვირთული მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა, აქტიურობა, მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ამ ფაქტორების გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით, რაც გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოებების გათვალიწინებას, რომელსაც შესაძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. ესენია შემაჯამებელი დავალებები, შეხვედრები კათედრაზე, შეფასების რუბრიკები, ისგ გეგმები. პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია როგორც ადმინისტრაცია, ასევე სკოლის პედაგოგები. ადმინისტარცია ითვალისწინებს პედაგოგეგბის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და გეგმავს პროცესის გაუმჯობესების გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სსიპ ქალაქ თბილისის N143 სკოლა დაწყებით საფეხურზე ცდილობს მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის და შეფასების მიზნით შეაგროვოს მონაცემები და მათი ანალიზისა და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას . აქტიურად მიმართავენ გაკვეთილებზე დასწრებას, დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც დაეხმარებათ მათ შეფასების შედეგებისთვის ინფორმაციის მოპოვებაში. მონაცემთა შეგროვებას ახერებენ მოსწავლის პორტფოლიოს ანალიზითაც. შეფასებისას მასწავლებლები მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას იღებენ კლასელებისგან, სასკოლო საზოგადოებისგან, დამრიგებლისაგან, სხვა საგნის მასწავლებლებისგან გამოკითხვით. მასწავლებლები მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან თანამშრომლობით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე

დაყრდნობით, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების გათვალისწინები , **ამიტომ სასურველი იქნებოდა, შეფასების სისტემის გამრავალფეროვნების მიზნით 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება საგანების მიხედვით, სათანადოდ იქნეს განხორციელებული, რაც კიდევ ერთი საშუალება იქნება და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებათა გამოვლენასა და შეფასებისათვის მონაცემების შეგროვებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან იკვეთება, და მასწავლებლებთან ინტერვიუდანაც ნათელია, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს და შეფასებისას ხდება, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევების, ასევე მათი პიროვნული მახასიათებლებისა და სოციალური ფაქტორის გათვალისწინება (შიდა და გარე ფაქტორები), როგორიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები, ესგ სასწავლო მიზნებისათვის სასკოლო მზაობა, წინარე გამოცდილება, საჭიროებები, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები, სურვილები და შესაძლ;ებლობები. მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მეტაკოგნიტური უნარები, დამოკიდებულებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა, ეთნიკური წარმომავლობა. მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის განსაზღვრისათვის გამოდგება სკოლის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების ანალიზიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **თვითშეფასების კითხვარი;**
- **ინტერვიუ**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა გეგმავს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი ეფუძნებოდეს მიმდინარე წლის კურიკულუმის ანალიზს, რათა სისტემური შეფასების და მონიტორინგის შედეგები ასახონ კურიკულუმში. პედაგოგები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას მათზე, დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მთელი წლის განმავლობაში სკოლა შეიმუშავებს დოკუმენტს, სადაც ასახული იქნება სკოლის ძლიერი მხარეები, მიღწევები და ყველა ის ნაბიჯი რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიღებული მიგნებების და რეფლექსიის საფუძველზე შექმნიან სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება დაეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები,**
- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია** ,
- **ინტერვიუ**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც დაწვრილებით აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია არაა დამტკიცებული სათანადო წესით.

კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება; სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლის ინეტერსებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის; სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფის / სოციო-ემოციური სწავლის გზით).

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგოაში დაწვრილებით არის აღწერილი თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მეტ-ნაკლებად მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან, გარდა გამოკითხვებისა, ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სამივე საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს

სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ წლის განმავლობაში განხორციელებულ კომპლექსური ბუნების დავალებებს და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს კურიკულუმის განვითარებაში სასკოლო ადმინისტრაციის განსაკუთრებული როლი, რაც გამოიხატება როგორც ადმინისტრირებაში, ასევე შინაარსობრივ მხარდაჭერასა და პროცესების მიზნობრივ მართვაში. საკმაოდ მჭიდროა კავშირი ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. უკუკავშირის მიღება, იდეების გაზიარება და ხელმისაწვდომობა უმთავრესად ხორციელდება პირისპირ და უშუალო კონტაქტების გზით, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში

გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ.

თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში, ასევე კათედრის სხდომების ოქმებში. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ხოლო გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა.**
- **კათედრის სხდომის ოქმები**

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ- ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმაში (ახალი სკოლის მოდელი). შესაბამისად, სკოლას აქვს გამოცდილება სასკოლო კურიკულუმზე მუშაობისა. საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული საგნის კურიკულუმები ორიენტირებულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები და ინტერესები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. უცხოურ ენებში, საბაზო საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად; ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა

წარმატების გზაზე; უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საბუნებისმეტყველო საგნების ახალ საგნობრივ კურიკელუმებში ასახულია შემდეგი ველები: სავალდებულო თემები, საკითხი/საკითხთა კლასტერი, ძირითადი კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, სამიზნე ცნება და ქვეცნებები, მაგალითები შედარებისთვის, სასწავლო რესურსები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები გააზრებული გვაქვს გრძელვადინ მიზნებად. კომპლექსური დავალებებზე მუშაობა არსებითი ხელისშემწყობი ფაქტორია გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას. საბაზო საფეხურზე, **უცხოურ ენებში,** კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. მაგალითად, პრეზენტაცია „ჩემი საყვარელი ფრინველი“, ბლოგპოსტი კონფლიქტური სიტუაციის გადაჭრასთან დაკავშირებული რჩევების მისაცემად, ასევე დისციპლინის საკითხებზე საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში (ინგლ. VII კლ.), როლური თამაში „ყველაფერი ჩემ შესახებ“, სტატია ჟურნალისთვის მოდის ახალ ტენდენციებთან დაკავშირებით, წერილი უცხოელ თანატოლს თემში არსებული გლობალური პრობლემების შესახებ (ინგლ., VIII კლ.), რუკის პრეზენტაცია თემაზე „ჩემი საყვარელი საცხოვრებელი გარემო“, სტატია ჟურნალისთვის მშობლიური და უცხო ქვეყნების ფესტივალების შესახებ, პოსტერის შექმნა „რობოტი მაღალტექნოლოგიური სასტუმროსთვის“ (ინგლ. IX კლ.); პრეზენტაციები: „ჩემი ზაფხულის არდადეგები, „ჩემი მეგობარი“, პოსტერის შექმნა დღის განრიგის შესახებ (რუსული, VII კლ.), პოსტერი ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ბუკლეტი ქალაქის ღირსშესანიშნაობების შესახებ (რუსული, VIII კლ.), პრეზენტაცია ქალაქ თბილისის ტურისტული მარშრუტის შესახებ, თხზულება „მინდა გავხდე...“, სტატია ცნობილ ქართველ მოღვაწეზე (რუსული, IX კლ.) და ა.შ.

გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ასევე უცხოური ენების მასწავლებლების მიერ განხორციელებული შიდასასკოლო თუ საერთაშორისო პროექტები (სკოლა ჩართულია eTwinning-ში, სადაც მოსწავლეები აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს უცხოელ თანატოლებთან ერთად)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საგნობრივ კათედრებზე წევრებს ურთიერთანამშრომლობით შემუშავებული აქვს საგნების მიხედვით კურიკულუმის ჩარჩოს პროექტი და სასწავლო წლის დასრულებამდე აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს. კათედრებზე მე-2 სემესტრისა და წლიური შედეგების დამუშავების, მასწავლებელთა ანგარიშების გაცნობის, მოსწავლეთა და მშობელთა მოსაზრებების გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები; ბოლოს, დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომები აისახება კურიკულუმში და საგნობრივი სასწავლო გეგმა მიიღებს სრულყოფილ სახეს. ამ ეტაპზე ისგ გეგმით სარგებლობს 25 მოსწავლე. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც თუმცა წარმოდგენილია ყველა საგნის ინდგეგმის ნიმუშები ადაპტირებული პროგრამებით, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, სსსმ მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები, ასევე რეკომენდაციები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სასკოლო გარემოსთან სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობა. წარმოდგენილია მოსწავლის ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი აქვთ შემდეგი: მიმდინარე სასწავლო წელს შექმნეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; გაუზიარეს კათედრის წევრებს მოსწავლეთა მიღწევები; შემოთავაზებული სადიაგნოსტიკო შეფასების მონაცემები დამუშავდება კათედრაზე და გავაცნობთ სასკოლო საზოგადოებას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით სამიზნე ცნებებთან მიმართებაშია. შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებზე, ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. მისი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა და მოსწავლეებში სწავლის თვითმართვის უნარის გამომუშავება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** - კურიკულუმისა და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია: წარმატებული გამოცდილების გაზიარება; წარმატებული გამცდილებაზე დაყრდნობით პასუხი გამოწვევებზე; კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის სემესტრული და შემაჯამებელი ანგარიშები. გაკვეთილის გეგმების პრეზენტაცია და განხილვა, ურთიერთდასწრება („კრიტიკული მეგობარი“); მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა; თვითშეფასება;

დაგეგმვის **პროცესში საბაზო საფეხურის უცხოური ენის** მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს; რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და ა.შ. კათედრის წევრები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები, შემუშავებულია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა.**
- **დანართი 51**
- **მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი,**
- **შეფასების რუბრიკები,**
- **კათედრის ოქმები,**
- **ინტერვიუ**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსები, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას , ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში . წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსაწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ახალი ცოდნა.

საბოლოო პროდუქტის შექმნა კი შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს , რაც ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და მათ მოტივაციას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა პროექტები, ვიქტორინები. მაგალითად, მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე შეასრულეს კომპლექსური დავალება „სამომხმარებლო არითმეტიკა “ , ასევე განტოლების შედგენა ვიზუალუზაციის მიხედვით, რომელშიც ჩართული იყო სსსმ მოსწავლეც და მასწავლებლებმა მოახდინეს დავალების პირობის მოდიფიცირება , კერძოდ , პირობა დაიყვანეს 1 უცნობიან განტოლებამდე. სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობისთვის სკოლაში ჩატარდა მათემატიკის კვირეული , ასევე ვიქტორინა „ სუსტი რგოლი “ ,სადაც სხვადასხვა ტურში იყო შედგენილი სხვადასხვა სირთულის კითხვები, ვიქტორინას ყავდა წამყვანი და ჟიურის წევრები, რომლებმაც გამოავლინეს გამარჯვებულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალების პირობები ყოველთვის გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მარტივიდან რთულისკენ სვლას, პრაქტიკული მაგალითებით ცოდნის გამყარებას და ა.შ. ყოველი გაკვეთილი იწყება გასული დავალების, გაკვეთილის გახსენებით, გამოწვევის ფაზაში მასწავლებლის მიერ ხდება ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეების მოტივირება და მხოლოდ შემდეგ ახალი მასალის მიწოდება, რაც სწავლის პროცესს ხდის ეფექტურს და საინტერესოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. მასწავლებლები გაკვეთილის პროცესში ხშირად იყენებენ ე.წ. გასასვლელ ბარათებს, თვითშეფასებას მათ აქვთ საშუალება თავადვე გაასწორონ საკუთარი ნამუშევრები, აწარმოონ თვითშეფასების დღიურები და ა. შ. ყველა ეს მეთოდი სტრატეგია, აქტივობა მოსწავლეებს აძლევს ცოდნას თუ როგორ ისწავლონ დამოუკიდებლად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები , რომელთა განხორციელებაც მოითხოს საგნობრივი საკითხის

დამუშავებას , სწავლის სტრატეგიების ფლობას, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მაგალითად, კომპლექსური დავალება მათემატიკაში, „წყალგაყვანილობის სისტემის მოწესრიგება სხვადასხვა დროსა და ეპოქაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მოსახლეობისთვის. როგორაა შესაძლებელი გეომეტრიული მოდელებისა და გაზომვითი სამუშაოების შესრულებით კონკრეტული პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა“. დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურის პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად, მათემატიკაში , კომპლექსური დავალება ,, უბნის გეგმის შედგენა“. გეგმაზე უნდა იყოს მოცემული გზები, მთავარი ობიექტები და მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ სავალი ნაწილის უკეთ დაგეგმვაზე, იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მოძრაობა და უსაფრთხოდ და მარტივად დაუკავშირდეს ობიექტები ერთმანეთს. დაგეგმვისას მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ , რომ გზები უნდა იყოს როგორც ფეხით მოსიარულეებისთვის, ასევე ავტომობილებისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის. აღნიშნულ დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები;**
- **ვიქტორინა მათემატიკაში ;**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები და მითითებული აქვთ ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლებსაც ააქტიურებენ ამ კონკრეტული დავალებებით. კურიკულუმების დანართის სახით წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც სრული სახითაა გაწერილი კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და მოსალოდნელი შედეგები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თვალნათლივ აჩვენებს, დასახული ამოცანების გადაჭრას - პროდუქტის შექმნას და შემდგომ პროდუქტსა და პროცესზე მსჯელობას - გასიტყვებას - როგორ მიჰყავს მოსწავლეები სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას ითხოვს (თხრობა მთხრობლის შეცვლით, პერსონაჟის დღიურის დაწერა, ინტერვიუ ანა ფრანკთან, საჯარო გამოსვლის ტექსტის შექმნა და ა.შ.), რაც მოსწავლეებისთვის გამოწვევაა და გარკვეულ ძალისხმევას ითხოვს. შედეგი ძალისხმევის გარეშე არ მიიღწევა, რაც მათ მიღწევის ღირებულებებს (თვითრეგულაციის, მიზანდასახულობის, მედეგობის უნარებს) უვითარებს. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნისას მოსწავლეებს შემოქმედებითობა სჭირდებათ. ასევე, უწევთ კრიტიკულად იაზროვნონ _ ფაქტები გააანალიზონ, იდეების გენერირება და ორგანიზება შეძლონ, მოსაზრებები დაიცვან, შეადარონ, დასკვნები გამოიტანონ, არგუმენტები შეაფასონ და პრობლემები გადაჭრან. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხშირად გუნდურ მუშაობასაც მოითხოვს, რაც მათ თანამშრომლობის უნარებს უვითარებს. შექმნილ პროდუქტსა და შექმნის პროცესზე რეფლექსია კი მოსწავლეებს თვითცნობიერების განვითარებაში ეხმარება _ მათ ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სწავლის ხელშეწყობის, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ფუნქცია აქვს. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში _ შეფასების კრიტერიუმებს განიხილავენ, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. შეფასების კრიტერიუმების განხილვა მათ ეხმარებათ, უკეთ გაიაზრონ დავალების პირობა, ასევე - მიმართება მიზნებსა და შედეგებს შორის. თვითშეფასება მოსწავლეს აკვალიანებს, როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი, როგორ გადადგას გააზრებული ნაბიჯები წინსვლისთვის. წარმოდგენილი აქვთ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებს, დასახული ამოცანების გადაჭრას - პროდუქტის შექმნას და შემდგომ პროდუქტსა და პროცესზე მსჯელობას - გასიტყვებას - როგორ მიჰყავს მოსწავლეები მისაღწევ შედეგებამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.წარმოდგენილი აქვთ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ რუბრიკებში თვალნათლივაა ნაჩვენები, რომელ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს მიემართება შეფასება (ვალიდურობა). წარმოდგენილი აქვთ ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის, პროექტის და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გამოკვეთილია, რომელ შედეგეგებს მიემართება შეფასება. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კრიტერიუმების განხილვის პროცესში. თავიდანვე იციან, რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი პასუხი, პროდუქტი, ნაშრომი (გამჭვირვალობა, ობიექტურობა, სამართლიანობა). თუ შეფასების სქემაში რომელიმე კრიტერიუმის აღმწერი ორაზროვანია _ არ არის ცხადი, ნათელი, მკაფიო, კათედრა ერთად განიხილავს და მუშაობს მის გამართვა-დახვეწაზე (სანდოობა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში (გვ.24 -26) წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, განმახორციელებელი პირები). როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის სხდომებზე განიხილება, რამდენად შეესაბამება შეფასების სისტემა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. მუდმივად ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და მსჯელობა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. სკოლა გეგმავს ნიმუშის მიხედვით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, ასევე შექმნილის გამართვა-დახვეწას. გეგმავენ, მოსწავლეებისთვის უფრო გასაგებად, ნათლად, მკაფიოდ, დახვეწილი ფორმით ჩამოაყალიბონ შეფასების კრიტერიუმების ზოგიერთი პირობა, რომ ორაზროვნება გამოირიცხოს და სანდო შეფასების რუბრიკები შექმნან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც ასახულია მოსწავლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. მასწავლებლების უმრავლესობა აწარმოებს პირად ჟურნალს, რომელშიც ინიშნავენ მოსწავლეთა დასწრებასა და შეფასებას, რომ ეს მონაცემები გამოიყენონ მოსწავლეთა შედეგების ანალიზის დროს. ასევე ინახავენ მოსწავლეთა შემაჯამებელ სამუშაოებს მათი შემდგომი ანალიზისთვის. ცალკე ინახება კურიკულუმები, სასკოლო პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია და სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, როგორც მტკიცებულება და მასალა, რომლის შესწავლის საფუძველზეც ცვლილებები შეაქვთ სასწავლო პროცესში. ჟურნალი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, სკოლაში ინახება მესამე პირისგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ,
- სასკოლო გეგმა,
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები,

- შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შემუშავებულია საგნობრივი პროგრამები და მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ/აკადემიური მიღწევების განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა ,ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის , მშობელთა კრებებზე , კათედრის სხდომებზე, არაფორმალურ შეხვედრებზე, რომლის გათვალისწინება ხდება კურიკულუმის შემუშავების დროს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, სადამრიგებლო საათები, სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შერჩეული თემებით და კომპლექსური დავალებებით ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმებში წარმოდგენილია **გრძელვადიანი მიზანი** (შედეგი, სამიზნე ცნება) **შუალედური მიზანი** (კომპლექსური ბუნების დავალება) და კომპლექსური დავალების **განმავითარებელი შეფასება,** რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები,

ღონისძიებები, მოსწავლეები ჩართული არიან აქტივობების დაგეგმვაში. სკოლაში განხორციელებულია პროექტები. ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების განხორციელებას . აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა, მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკითხებზე და მათთან თანამშრომლობა. სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე იგეგმება შეხვედრა კურიკულუმის განსახილვევლად. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს განხორციელებული კომპლექსური დავალების გამოცდილებას, საკუთარ პრაქტიკას, თუ რომელმა კომპლექსურმა გამოიწვია მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი და ითვალისწინებენ იმავე ან მსგავს დავალებას მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები და ღონისძიებები,. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ხორციელდება სამუშაო შეხვედრები და ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ტარდება სადმრიგებლო საათები, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სახალისო აქტივობები, კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას და პოზიტიური გარემოს შექმნას. ამის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ისგ გეგმები,**
- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები,**
- **ინტერვიუ**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად იკვეთება, რომ სკოლაში მიმდიმანეობს კურიკულუმის მონიტორინგი. სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია მონიტორინგის პროცესები. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, შემდეგ განიხილავენ კათედრებზე აღნიშულ გაკვეთილებს და ცდილობენ გამოკვეთონ ძლიერი და სუსტი მხარეები. კლასში, თემის ფარგლებში ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს, რომელსაც შემდგე განიხილავენ და ზრუნავენ მის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. საუბრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. კათედრის წევრებისა და დირექციას შორის არის ინტენსიური თანამშრომლობა. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის აღნიშნული აქტივობები შედეგიანად მიმდინარეობს. ამას მოწმობს საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები; დოკუმენტი 12; ოქმები; შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში; პროექტები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი გარემო, რომელიც ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით იკვლევენ მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებს. მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. ასეთი წარმოდგენილი დოკუმენტებია: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ოქმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, შემაჯამებელი ფორმა და სხვა. კათედრების წევრებსა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება მოსწავლეების შედეგების

დიაგნოსტირებით. სამომავლოდ კი იგეგმება ყველა საგნობრივ კათედრაზე დიაგნოსტიკური ტესტირებების ჩატარება, რომელიც უკეთ წარმოაჩენს იმ ხარვეზებს, რაც ხელს უშლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასებისათვის, სკოლამ აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული პირველი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. კათედრებმა შეარჩიეს კომპლექსური დავალებები და შეიმუშავეს შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **შეფასების რუბრიკები;**
- **ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურზე სკოლა შეფასებისას იყენებს კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილ განმავითრებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც დაკავშირებული სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისკენ. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან, ატვირთული მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა, აქტიურობა, მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით, რაც გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოებების გათვალიწინებას, რომელსაც შესძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. ესენია შემაჯამებელი დავალებები, შეხვედრები კათედრაზე, შეფასების რუბრიკები, ისგ გეგმები. პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია როგორც ადმინისტრაცია, ასევე სკოლის

პედაგოგები. ადმინისტარცია ითვალისწინებს პედაგოგეგბის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და გეგმავს პროცესის გაუმჯობებსების გზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა, საბაზო საფეხურზე, ცდილობს მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის და შეფასების მიზნით შეაგროვოს მონაცემები და მათი ანალიზისა და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას . აქტიურად მიმართავენ გაკვეთილებზე დასწრებას, დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც დაეხმარებათ მათ შეფასების შედეგებისთვის ინფორმაციის მოპოვებაში. მონაცემთა შეგროვებას ახერებენ მოსწავლის პორტფოლიოსა და შესრულებული შემაჯამებელი დავალების ანალიზითაც. შეფასებისას მასწავლებლები მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას იღებენ თანაკლასელებისგან, სასკოლო საზოგადოებისგან, დამრიგებლისაგან, სხვა საგნის მასწავლებლებისგან გამოკითხვით. მასწავლებლები მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან თანამშრომლობით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების გათვალისწინებით. , ამიტომ სასურველი იქნებოდა, შეფასების სისტემის გამრავალფეროვნების მიზნით 2023-24 სასწავლო წელს სკოლაში დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება საგანების მიხედვით, სათანადოდ იქნენას განხორციელებული, რაც კიდევ ერთი საშუალება იქნება და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებათა გამოვლენასა და შეფასებისათვის მონაცემების შეგროვებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან იკვეთება, და მასწავლებლებთან ინტერვიუდანაც ნათლია, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს და შეფასებისას ხდება, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევების, ასევე მათი პიროვნული მახასიათებლებისა და სოციალური ფაქტორის გათვალისწინება (შიდა და გარე ფაქტორები), როგორიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები, ესგ სასწავლო

მიზნებისათვის სასკოლო მზაობა, წინარე გამოცდილება, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები, სურვილები, საჭიროებები და შესაძლ;ებლობები. მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მეტაკოგნიტური უნარები, ფიზიკური შესაძლებლობები, დამოკიდებულებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა და ეთნიკური წარმომავლობა. მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის განსაზღვრისათვის გამოდგება სკოლის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების ანალიზიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **საბაზო საფეხურის კურიკულუმები;**
- **ისგ - გეგმები.**
- **თვითშეფასების კითხვარი;**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებასთან ერთად დაგეგმილია მისი განვითარებისა და სარეკომენდაციო პაკეტის მომზადებისთვის სხვადასხვა ქმედებები. სკოლა გეგმავს კურიკულუმის განვითარებისთვის, განხორციელების პროცესში შეაგროვოს მონაცემები სხვადასხვა პერსპექტივიდან, მაგალითად, გეგმავს გამოკითხვასა და ინტერვიუებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, აგრეთვე, სკოლა გეგმავს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებისთვის გამოიყენოს მასწავლებელთა რეფლექსიები, კომპლექსური დავალების შედეგების ანალიზები, გაკვეთილზე დაკვირვების შედეგები და ამის საფუძველზე დაგეგმონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. აგრეთვე სკოლას მომზადებული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები სხვადასხვა საგნებში საბაზო საფეხურზე, რათა ობიექტურად შეაფასოს მიმდინარე პროცესები სკოლაში და დროულად შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო რეკომენდაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2 პედაგოგებმა, როგორც ინტერვიუს დროს განაცხადეს და წარმოოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს სასკოლო საზოგადოება, დირექცია, პედაგოგები, კათედრის წევრები, მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება და გაითვალისწინებენ, მონიტორინგის შეფასებას და შედეგს, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებზე იქნება მორგებული. შემდგომ გამოცდილებას გაიზიარებენ, სკოლას აქვს ხედვა, კურიკულუმის განხორციელებასა და მონიტორინგში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი რუბრიკა;**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სათანადო წესით არაა დამტკიცებული. მეთოდოლოგიაში დაწვრილებით აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.

კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურებრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული ფილოსოფიით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება; სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლის ინეტერსებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის; სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფის / სოციო-ემოციური სწავლის გზით).

კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგოაში დაწვრილებით არის აღწერილი თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან, გარდა გამოკითხვებისა, ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სამივე საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს იდეების,

გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ წლის განმავლობაში განხორციელებულ კომპლექსური ბუნების დავალებებს და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილია მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავებაში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარმოდგენის ფორმას.

ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას.

პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს კურიკულუმის განვითარებაში სასკოლო ადმინისტრაციის განსაკუთრებული როლი, რაც გამოიხატება როგორც ადმინისტრირებაში, ასევე შინაარსობრივ მხარდაჭერასა და პროცესების მიზნობრივ მართვაში. საკმაოდ მჭიდროა კავშირი ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. უკუკავშირის მიღება, იდეების გაზიარება და ხელმისაწვდომობა უმთავრესად ხორციელდება პირისპირ და უშუალო კონტაქტების გზით, ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს საშუალო საფეხურის ყველა მასწავლებელი. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში

გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ.

თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში, ასევე კათედრის სხდომების ოქმებში. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4.კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, ხოლო გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა.**
- **კათედრის სხდომის ოქმები**

2.1.2კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. უცხოურ ენების კატედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად; ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე; უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.საშუალო საფეხურზე კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. უცხოურ ენებში ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას,

მოქალაქეობრივ პოზიციას. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. მაგალითად, სტატია სასკოლო განათლების თავისებურებების შესახებ, ესე საკლასო ოთახში მობილური ტელეფონების გამოყენებაზე, საყვარელი ფილმის მიმოხილვა გაზეთისთვის (ინგლ., X კლ.), პრეზენტაცია „მე და ჩემი ახლობლის ურთიერთობების შესახებ“, ესე მშობლიურ ქალაქში ტრადიციული ცხოვრების შესახებ, პრეზენტაცია „გარემოს დაცვა“ (ინგლ., XI კლ.), საკუთარი პროფილის შექმნა და წარდგენა, (ინგლ. XII კლ.); პრეზენტაცია „ყველაფერი საქართველოს შესახებ“, წერილი მეგობარს, პრეზენტაცია „ინტერნეტი ჩემს ცხოვრებაში“ (რუსული, X კლ.) და ა.შ.

გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ასევე უცხოური ენების მასწავლებლების მიერ განხორციელებული შიდასასკოლო თუ საერთაშორისო პროექტები (სკოლა ჩართულია eTwinning-ში, სადაც მოსწავლეები აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს უცხოელ თანატოლებთან ერთად)

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, **რაც უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ყველა საგნის ინდგეგმის ნიმუშები ადაპტირებული პროგრამებით,** ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, სსსმ მოსწავლეების მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები, ასევე რეკომენდაციები მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სასკოლო გარემოსთან სსსმ მოსწავლეების ადაპტაციის ხელშეწყობა. წარმოდგენილია მოსწავლის ადაპტაციის წესი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). სკოლას საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი აქვს მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და ცალკეული აქტივობების მიხედვით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაგეგმვის პროცესში საშუალო საფეხურის უცხოური ენის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს; რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ და ა.შ. კათედრის წევრები ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები, შემუშავებულია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა.**
- **დანართი 51**
- **მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმში ნათლად ჩანს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში აქტიური ჩართულობა. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია მრავალფეროვანი რესურსები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას , ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში . წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსაწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ახალი ცოდნა. საბოლოო პროდუქტის შექმნა კი შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს , რაც ზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და მათ მოტივაციას. სკოლაში ტარდება სხვადასხვა პროექტები, ვიქტორინები. მაგალითად, მოსწავლეებმა მათემატიკის გაკვეთილზე

შეასრულეს კომპლექსური დავალება ,,ეშმაკის ბორბლის მოძრაობის აღმწერი ფუნქციის კვლევა გრაფიკული კალკულატორის საშუალებით“ , ასევე განტოლების შედგენა ვიზუალუზაციის მიხედვით. სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობისთვის სკოლაში ჩატარდა მათემატიკის კვირეული , ასევე ვიქტორინა „ სუსტი რგოლი “ სადაც სხვადასხვა ტურში იყო შედგენილი სხვადასხვა სირთულის კითხვები, ვიქტორინას ყავდა წამყვანი და ჟიურის წევრები, რომლებმაც გამოავლინეს გამარჯვებულები. ასევე სკოლაში მოსწავლეები აკეთებენ კედლის გაზეთებს, მაგალითად პითაგორას კვალდაკვალ, ცნობილი მათემატიკოსების ბიოგრაფია და ა.შ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს , კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკი, მათი ინტერესები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; კომპლექსური დავალების პირობები ყოველთვის გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, მარტივიდან რთულისკენ სვლას, პრაქტიკული მაგალითებით ცოდნის გამყარებას და ა.შ. ყოველი გაკვეთილი იწყება გასული დავალების, გაკვეთილის გახსენებით, გამოწვევის ფაზაში მასწავლებლის მიერ ხდება ცოდნის გააქტიურება, მოსწავლეების მოტივირება და მხოლოდ შემდეგ ახალი მასალის მიწოდება, რაც სწავლის პროცესს ხდის ეფექტურს და საინტერესოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს და გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მართვა. შეაფასოს და გააკეთოს მონიტორინგი . მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება , მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. მასწავლებლები გაკვეთილის პროცესში ხშირად იყენებენ ე.წ. გასასვლელ ბარათებს, თვითშეფასებას მათ აქვთ საშუალება თავადვე გაასწორონ საკუთარი ნამუშევრები, აწარმოონ თვითშეფასების დღიურები და ა. შ. ყველა ეს მეთოდი სტრატეგია, აქტივობა მოსწავლეებს აძლევს ცოდნას თუ როგორ ისწავლონ დამოუკიდებლად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად , რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები , რომელთა განხორციელებაც მოითხოს საგნობრივი საკითხის

დამუშავებას , სწავლის სტრატეგიების ფლობას, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. მაგალითად, კომპლექსური დავალება მათემატიკაში, „სასურველ თემატიკაზე კლვევის დაგეგმვა და მონაცემების ინტერპრეტირება“. დავალების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ მოსწავლე ასრულებს კონკრეტულ აქტივობებს და უკვე იცის , როგორ შეასრულოს ესა თუ ის პირობა. ბოლო ეტაპზე კი შეძენილ ცოდნას იყენებს , საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. საშუალო საფეხურის პედაგოგები კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს გეგმავენ ისე , რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გააზრებას, დამახსოვრებას და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობას. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომ მოსწავლემ შეძლოს ცოდნის დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად, მათემატიკაში , კომპლექსური დავალება ,, პროცენტი, საბანკო სესხის გადასახადი “. რა ვადით შეძლებდნენ აეღოთ მოცემული სესხი. თუ ყოველთვიური შემოსავალი არის 1500 ლარი და ყოველთვიური გადასახადი უნდა შეადგენდეს სტაბილური ყოველთვიური შემოსავლის 20%-ს .დაგეგმვისას მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნულ დავალებაში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სწორედ ის საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწვავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის კურიკულუმები;**
- **ვიქტორინა მათემატიკაში;**

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები და მითითებული აქვთ ის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომლებსაც ააქტიურებენ ამ კონკრეტული დავალებებით. კურიკულუმების დანართის სახით წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც სრული სახითაა გაწერილი კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და მოსალოდნელი შედეგები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თვალნათლივ აჩვენებს, დასახული ამოცანების გადაჭრას - პროდუქტის შექმნას და შემდგომ პროდუქტსა და პროცესზე მსჯელობას - გასიტყვებას - როგორ მიჰყავს მოსწავლეები სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვთ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას ითხოვს (დღიურის დაწერა (არამთავარი პერსონაჟის მთავარ პერსონაჟად ქცევა), არგუმენტირებული ესეს დაწერა, გამოხმაურების დაწერა და ა.შ.), რაც მოსწავლეებისთვის გამოწვევაა და გარკვეულ ძალისხმევას ითხოვს. შედეგი ძალისხმევის გარეშე არ მიიღწევა, რაც მათ მიღწევის ღირებულებებს (თვითრეგულაციის, მიზანდასახულობის, მედეგობის უნარებს) უვითარებს. შემოქმედებით-შემეცნებითი პროდუქტის შექმნისას მოსწავლეებს შემოქმედებითობა სჭირდებათ. ასევე, უწევთ კრიტიკულად იაზროვნონ _ ფაქტები გააანალიზონ, იდეების გენერირება და ორგანიზება შეძლონ, მოსაზრებები დაიცვან, შეადარონ, დასკვნები გამოიტანონ, არგუმენტები შეაფასონ და პრობლემები გადაჭრან. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხშირად გუნდურ მუშაობასაც მოითხოვს, რაც მათ თანამშრომლობის უნარებს უვითარებს. შექმნილ პროდუქტსა და შექმნის პროცესზე რეფლექსია კი მოსწავლეებს თვითცნობიერების განვითარებაში ეხმარება _ მათ ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას გააზრებული აქვს, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სწავლის ხელშეწყობის, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ფუნქცია აქვს. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში _ შეფასების კრიტერიუმებს განიხილავენ, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. შეფასების კრიტერიუმების განხილვა მათ ეხმარებათ, უკეთ გაიაზრონ დავალების პირობა, ასევე - მიმართება მიზნებსა და შედეგებს შორის. თვითშეფასება მოსწავლეს აკვალიანებს, როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი, როგორ გადადგას გააზრებული ნაბიჯები წინსვლისთვის. წარმოდგენილი აქვთ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თვალნათლივ აჩვენებს, დასახული ამოცანების გადაჭრას - პროდუქტის შექმნას და შემდგომ პროდუქტსა და პროცესზე მსჯელობას - გასიტყვებას - როგორ მიჰყავს მოსწავლეები მისაღწევ შედეგებამდე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას წარმოდგენილი აქვთ საგნობრივ კურიკულუმებში ასახული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამ რუბრიკებში თვალნათლივაა ნაჩვენები, რომელ სამიზნე ცნებებსა და შედეგებს მიემართება შეფასება (ვალიდურობა). წარმოდგენილი აქვთ ზეპირმეტყველების, პრეზენტაციის, პროექტის და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც გამოკვეთილია, რომელ შედეგეგებს მიემართება შეფასება. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული კრიტერიუმების განხილვის

პროცესში. თავიდანვე იციან, რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი პასუხი, პროდუქტი, ნაშრომი (გამჭვირვალობა, ობიექტურობა, სამართლიანობა). თუ შეფასების სქემაში რომელიმე კრიტერიუმის აღმწერი ორაზროვანია _ არ არის ცხადი, ნათელი, მკაფიო, კათედრა ერთად განიხილავს და მუშაობს მის გამართვა-დახვეწაზე (სანდოობა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში (გვ.24 -26) წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები, პროცესი, განმახორციელებელი პირები). როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კათედრის სხდომებზე განიხილება, რამდენად შეესაბამება შეფასების სისტემა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. მუდმივად ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და მსჯელობა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას. სკოლა გეგმავს ნიმუშის მიხედვით სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას, ასევე შექმნილის გამართვა-დახვეწას. გეგმავენ, მოსწავლეებისთვის უფრო გასაგებად, ნათლად, მკაფიოდ, დახვეწილი ფორმით ჩამოაყალიბონ შეფასების კრიტერიუმების ზოგიერთი პირობა, რომ ორაზროვნება გამოირიცხოს და სანდო შეფასების რუბრიკები შექმნან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, რომელშიც ასახულია მოსწავლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები. მასწავლებლების უმრავლესობა აწარმოებს პირად ჟურნალს, რომელშიც ინიშნავენ მოსწავლეთა დასწრებასა და შეფასებას, რომ ეს მონაცემები გამოიყენონ მოსწავლეთა შედეგების ანალიზის დროს. ასევე ინახავენ მოსწავლეთა შემაჯამებელ სამუშაოებს მათი შემდგომი ანალიზისთვის. ცალკე ინახება კურიკულუმები, სასკოლო პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია და სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, როგორც მტკიცებულება და მასალა, რომლის შესწავლის საფუძველზეც ცვლილებები შეაქვთ სასწავლო პროცესში. ჟურნალი, როგორც ოფიციალური დოკუმენტი, სკოლაში ინახება მესამე პირისგან დაცულ ადგილას 5 წლის განმავლობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო გეგმა,**
- **საშალო საფეხურის კურიკულუმები,**
- **ინტერვიუ**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ინოვაციური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული მოსწავლის წარმატებული და ბედნიერი მომავლისათვის და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა. შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ხორციელდება საგნობრივი პროექტები (მ.შ. უცხოურ ენებშიც), რომლებიც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს. სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის;

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში

შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები შერჩეული თემებით და კომპლექსური დავალებებით ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. საშუალო საფეხურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმებში წარმოდგენილია **გრძელვადიანი მიზანი** (შედეგი, სამიზნე ცნება) **შუალედური მიზანი** (კომპლექსური ბუნების დავალება) და კომპლექსური დავალების **განმავითარებელი შეფასება,** რის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლაში ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, ღონისძიებები, მოსწავლეები ჩართული არიან აქტივობების დაგეგმვაში. სკოლაში განხორციელებულია პროექტები, სხვადასხვა აქტივობები, რომკებიც ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეებში თვითრეგულირებად ქცევას და ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას . ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გეგმავს დიაგნოსტიკური შეფასების განხორციელებას . აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს მოსწავლეზე ორიენტირებულად. ესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

3. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ხდება მასწავლებელთა შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარება, სიახლეების დანერგვა, მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკითხებზე და მათთან თანამშრომლობა. სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე იგეგმება შეხვედრა კურიკულუმის განსახილვევლად. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს განხორციელებული კომპლექსური დავალების გამოცდილებას, საკუთარ პრაქტიკას, თუ რომელმა კომპლექსურმა გამოიწვია მოსწავლეთა განსაკუთრებული ინტერესი და ითვალისწინებენ იმავე ან მსგავს დავალებას მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში. სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები და ღონისძიებები,. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში ხორციელდება სამუშაო შეხვედრები და ურთიერდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

4. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს სკოლისა და კლასის დონეზე. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში შერჩეული სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეების ინტერესები და შესაძლებლობები, ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში ტარდება სადმრიგებლო საათები, სადაც მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ მათთვის სასურველ თემაზე და ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება. სკოლაში ხორციელდება პროექტები, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება სახალისო აქტივობები, კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას და პოზიტიური გარემოს შექმნას. ამის საფუძველზეც შეგვიძლია დასკვნის გაკეთება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა;**
- **კათედრების სხდომების ოქმები;**
- **ხარისხის განვითარების ჯგუფის მასალები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი. არსებობს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ იმდინარეობს ეს პროცესი სკოლაში. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, შემდეგ განიხილავენ კათედრებზე აღნიშულ გაკვეთილებს და ცდილობენ გამოკვეთონ ძლიერი და სუსტი მხარეები. სისტემატიურად აკვირდებიან კომპლექსურ დავალებებს და ზრუნავენ მის დახვეწასა და გაუმჯობესებაზე. საუბრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. კათედრის წევრებისა და დირექციას შორის არის ინტენსიური თანამშრომლობა. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის აღნიშნული აქტივობები შედეგიანად მიმდინარეობს. ამას მოწმობს კურიკულუმის

ჩარჩოები; დოკუმენტი 12; ოქმები; შემაჯამებელი ფორმა; შეფასების რუბრიკები; სხვადასხვა პროექტები, რომელიც მოიცავს დაწყებით საფეხურზე განსახორციელებელ და უკვე განხორციელებლი აქტივობების მონიტორინგს და შეფასებას კათედრებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი გარემო, რომელიც ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ როგორ ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სხვადასხვა დოკუმენტების საშუალებით იკვლევენ მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა საჭიროებებს. მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. ასეთი წარმოდგენილი დოკუმენტებია: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ოქმები, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სხვა. კათედრების წევრებსა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით. სამომავლოდ კი იგეგმება ყველა საგნობრივ კათედრაზე დიაგნოსტიკური ტესტირებების ჩატარება, რომელიც უკეთ წარმოაჩენს იმ ხარვეზებს, რაც ხელს უშლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

3. კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასებისათვის, სკოლამ საწყის ეტაპზე აირჩია ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებული პირველი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე სკოლის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შეფასება. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და დაიგეგმება ცვლილებები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. კათედრებმა შეარჩიეს კომპლექსური დავალებები და შეიმუშავეს შეფასებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის შესამოწმებელი რუბრიკები. სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრა აუცილებლად გაითვალისწინებს და შესაბამის ცვლილებებს შეიტანს მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმა;**
- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **სტრატეგიული გეგმა;**
- **შეფასების რუბრიკები.**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საშუალო საფეხურზე შეფასებისას იყენებს კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილ განმავითრებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, კათედრებზე შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც დაკავშირებული სამიზნე ცნებისა და მასთან

დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისკენ. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან, ატვირთული მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა, აქტიურობა, მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით, რაც გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოებების გათვალიწინებას, რომელსაც შესძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია როგორც ადმინისტრაცია, ასევე სკოლის პედაგოგები. ადმინისტარცია ითვალისწინებს პედაგოგეგბის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და გეგმავს პროცესის გაუმჯობესების გზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

3. სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლა, საშუალო საფეხურზე, ცდილობს მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის და შეფასების მიზნით შეაგროვოს მონაცემები და მათი ანალიზისა და კვლევის საფუძველზე გამოავლინოს მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კვლევის პროცესში იყენებენ ინტერვიუს, დაკვირვებას, ფოკუს-ჯგუფებს, ტესტირებას . აქტიურად მიმართავენ გაკვეთილებზე დასწრებას, დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც დაეხმარებათ მათ შეფასების შედეგებისთვის ინფორმაციის მოპოვებაში. მონაცემთა შეგროვებას ახერებენ მოსწავლის პორტფოლიოსა და შესრულებული შემაჯამებელი დავალების ანალიზითაც. შეფასებისას მასწავლებლები მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას იღებენ თანაკლასელებისგან, სასკოლო საზოგადოებისგან, დამრიგებლისაგან, სხვა საგნის მასწავლებლებისგან გამოკითხვით. მასწავლებლები მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან თანამშრომლობით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ და პიროვნულ მახასიათებლებს. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების გათვალისწინებით. , ამიტომ სასურველი იქნებოდა, შეფასების სისტემის გამრავალფეროვნების მიზნით 2023-24 სასწავლო წელს

სკოლაში დაგეგმილი სადიაგნოსტიკო შეფასება საგანების მიხედვით, სათანადოდ იქნენას განხორციელებული, რაც კიდევ ერთი საშუალება იქნება და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებათა გამოვლენასა და შეფასებისათვის მონაცემების შეგროვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ნარატივიდან იკვეთება, და მასწავლებლებთან ინტერვიუდანაც ნათლია, რომ ისინი იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს და შეფასებისას ხდება, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევების, ასევე მათი პიროვნული მახასიათებლებისა და სოციალური ფაქტორის გათვალისწინება (შიდა და გარე ფაქტორები).... როგორიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები, ესგ სასწავლო მიზნებისათვის სასკოლო მზაობა, წინარე გამოცდილება, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები, სურვილები, საჭიროებები და შესაძლ;ებლობები. მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, მეტაკოგნიტური უნარები, ფიზიკური შესაძლებლობები, დამოკიდებულებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციუმი, კანონთან შემხებლობა და ეთნიკური წარმომავლობა. მოსწავლეთა საერთო განვითარების დონის და შედეგის განსაზღვრისათვის გამოდგება სკოლის მიერ შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგების ანალიზიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **თვითშეფასების კითხვარი;**
- **ინტერვიუ**
- **სასკოლო გეგმა,**
- **საშუალო საფეხურის კურიკულუმები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს გარკვეული ხედვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს შემუშავებული კურიკულუმების განვითარება და რევიზია. საშუალო საეხურზე, როგორც თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების ანალიზს. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზად არის შეიმუშაოს ,,კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი". ამ მიზნით მასწავლებლების მიერ ხდება კათედრებზე შეკრება და გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მოიაზრებს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და გაანალიზებასა და შეფასებას. სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლამ სასურველია იმუშაოს საშუალო საფეხურის

გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის გადახედვა და ანალიზი განხორციელდება ეტაპობრივად. მათ დააფიქსირეს მზაობა ამ პროცესისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** .

2.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების განვითარება დაეფუძნება მასწავლებელთა მიერ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას, თვითრეფლექსიას, მიგნებებსა და შეფასების შედეგებს. იგეგმება კურიკულუმების განვითარებაზე მუშაობა, კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. რევიზირებულ ვერსიაში გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება, მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმები;**
- **სასკოლო-სასწავლო გეგმა.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რუსუდან კეკელიძე-

ხათუნა ნოზაძე-

ირინე ჯანაშია-

თეონა აბრამიშვილი-

მანანა ჯაყელი-

ნინო მოლაშხია-

თამარ წულუკიძე-

ნანა ყანჩაშვილი-

ლელა მანგოშვილი-

მარინა ანესაშვილი-

თარიღი:

16.11.2023 წ.